

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №379

2014 წლის 11 ივნისი

ქ. თბილისი

### საქართველოს დაზვერვის სამსახურის ემბლემის, ემბლემის დებულებისა და დროშის დამტკიცების შესახებ

#### მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და „საქართველოს დაზვერვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის №175 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის გათვალისწინებით, დამტკიცდეს:

1. საქართველოს დაზვერვის სამსახურის ემბლემა თანდართული ესკიზისა და აღწერილობის მიხედვით (დანართი №1);
2. საქართველოს დაზვერვის სამსახურის ემბლემის შესახებ დებულება (დანართი №2);
3. საქართველოს დაზვერვის სამსახურის დროშა თანდართული ესკიზისა და აღწერილობის მიხედვით (დანართი №3).

#### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

დანართი №1



### საქართველოს დაზვერვის სამსახურის ემბლემის აღწერილობა

საქართველოს დაზვერვის სამსახურის ემბლემა არის ლაჟვარდისფერ (ლურჯი) არშიიანი მრგვალი ჰერალდიკური ფარი, რომელსაც კვეთს მეწამული ჯვარი. ჯვრის ცენტრში გამოსახულია ჰერალდიკური ფარი, ფარის ვერცხლის ველზე - ლაჟვარდისფერი (ლურჯი) ოთხქიმიანი ვარსკვლავი (კონტროლისა და უსაფრთხოების სიმბოლო), ფარს ამშვენებს ივერიული გვირგვინი.



I და IV ვერცხლის (თეთრი) ველზე გამოსახულია ბოლნურ-კაცხური ჯვარი.


ლაჟვარდისფერ (ლურჯი) არშიაზე გამოსახულია ოქროს წარწერა: „საქართველოს დაზვერვის სამსახური“.

დანართი №2

### საქართველოს დაზვერვის სამსახურის ემბლემის შესახებ დებულება

1. საქართველოს დაზვერვის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) ემბლემა (შემდგომში - ემბლემა) არის სამსახურის ოფიციალური სიმბოლო.
2. ემბლემა განთავსდება (ინახება) სამსახურის უფროსის კაბინეტში და სამსახურის სხდომათა დარბაზში.
3. ემბლემა გამოისახება:
  - ა) სამსახურის ვებგვერდზე;
  - ბ) სამსახურის ბეჭდვით გამოცემებზე;
  - გ) სამსახურის მიერ მომზადებულ კინო-, ვიდეო- და ფოტომასალებზე;
  - დ) სამსახურის შეკვეთით დამზადებულ სარეკლამო-საინფორმაციო და სუვენირულ პროდუქციაზე;
  - ე) სამსახურის მოსამსახურეთა სამსახურებრივ მოწმობაზე.
4. სამსახურის უფროსი იღებს გადაწყვეტილებას ემბლემის გამოყენების სხვა შემთხვევების თაობაზე.
5. ემბლემა დაცულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დანართი №3



საქართველოს დაზვერვის სამსახურის დროშის აღწერილობა



საქართველოს დაზვერვის სამსახურის დროშა არის მართკუთხა თეთრი ქსოვილი პროპორციით - 2/3, რომელსაც კვეთს სწორკუთხა მეწამული (წითელი) ჯვარი სისქით - დროშის სიმაღლის 1/5, რომელიც ეხება დროშის ქსოვილის კიდეებს. ზედა მარჯვენა მეოთხედში (პირველი კანტონი) თეთრ (ვერცხლის) ველზე გამოსახულია ლაჟვარდისფერი ოთხქიმიანი ვარსკვლავი - საქართველოს დაზვერვის სამსახურის ემბლემის დეტალი.

